

შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

1. შესავალი

კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობა ბაზარზე არსებული დამსაქმებლების მიმდინარე მოთხოვნებთან უნივერსიტეტების შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხად რჩება. მათი ურთიერთდამთხვევის ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების დასაქმების გაზრდილ/შემცირებულ ალბათობას და ამავე დროს გვევლინება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მართებული სტრუქტურირებისა და ეფექტურობის შეფასების ინდიკატორად.

2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია რაოდენობრივი კვლევის პროცესში ღია კითხვებზე მიღებული პასუხების თვისებრივი ანალიზი. არსებული მიდგომა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიღებული ინფორმაციის სიღრმისეულად გააზრება და შემუშავდეს რეკომენდაციები, რაც საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და დამქირავებელთა კმაყოფილების დონეზეც.

3. მეთოდოლოგია

მოცემული დოკუმენტი ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის დროს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა კითხვარებში ღია კითხვებზე მიღებული პასუხების თვისებრივ ანალიზს.

დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების კვლევის თვისებრივი ანალიზი ეყრდნობა 47 დამქირავებლის და 162 კურსდამთავრებული სტუდენტის კითხვარებში ასახული ღია კითხვების პასუხებს.


კვლევაში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები ტურისტული და სამედიცინო მომსახურების, საფინანსო და საბანკო სფეროს, მასმედიისა და IT-ს, სავაჭრო კომპანიების, საგანმანათლებლო სექტორის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა სფეროდან. ასევე, უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

მიღებული ღია კითხვები გაანალიზებულ იქნა MAXQDA-ს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

4. კვლევის ეტაპები და ინსტრუმენტები

არსებულ ღია კითხვებზე მიღებული ინფორმაციის თავმოყრის შემდგომ, განხორციელდა მისი შეყვანა MAXQDA 12-ის მონაცემთა ბაზაში, რომელიც წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზისთვის (იხ. სურათი 1). იგი შედგება ოთხი სამუშაო ფანჯრისგან, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად გაანალიზდეს ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

(სურათი 1)



პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შემუშავდა კატეგორიათა სისტემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა არსებული პასუხების კოდირება-რეორგანიზაცია, რის შემდგომაც გაანალიზდა არსებული ინფორმაცია და შემუშავებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.

5. თვისებრივი ანალიზის შედეგები

5.1. დამსაქმებელთა კვლევის თვისებრივი ანალიზის შედეგები

კვლევაში ჩართულ დამსაქმებელთა უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლებსა და მმართველებს, ასევე კონკრეტული დეპარტამენტების ხელმძღვანელებს. შესაბამისად, მათი ღია პასუხების თვისებრივი ანალიზი კვლევისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა.

აღსანიშნავია, რომ დამქირავებელთა უმეტესობა კმაყოფილია მათთან დასაქმებული სდასუს კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით, რაც ხაზგასმით მეტყველებს

არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა-სწავლების მაღალ დონეზე. უფრო მეტიც, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სდასუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს, როგორც წესი, აძლევს იმაზე უფრო მაღალ კომპეტენციას, ვიდრე ეს მოითხოვება საქართველოს შრომის ბაზარზე. შესაბამისად, უნარ-ჩვევები, რომლებსაც სდასუ-ს კურსდამთავრებულები ფლობენ დასაქმების ბაზარზე მათი მაღალ-კონკურენტუნარიანობის მყარი გარანტია და სრულად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა არა მარტო დასაქმებას, არამედ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების ბაზარზეც, რაც ხდის სდასუ-ს კურსდამთავრებულს გამორჩეულს, ნებისმიერ უსდ-ში, სწავლის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.

დამსაქმებლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ/არიან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და სრულყოფის პროცესში, ერთხმად აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და სათანადო ცოდნით აღჭურვას. ასევე აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებიც სრულად უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კვლევის შედეგების ანალიზიდან ასევე ირკვევა, რომ კადრების შერჩევის პროცესში დამსაქმებლები განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ თავიანთ პირდაპირ კავშირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდანვე მოხდეს შესაბამისი კადრების რეკრუტირება. დამსაქმებლები, ასევე აქტიურად იყენებენ საჯარო დასაქმების სერვისს და არაფორმალურ კავშირებს (პერსონალურ კონტაქტებს, სხვების მიერ რეკომენდირებულ კანდიდატებს და ა.შ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ხდება დამსაქმებლებთან პირდაპირი ურთიერთობების უფრო მეტად ინტენსიფიცირება, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან, კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; დამსაქმებლებთან კომუნიკაციის აქტიური ფორმების გამოყენება უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა კომპანიების პრაქტიკულ საქმიანობებში, აამაღლოს სტუდენტების კომპეტენციები და ამგვარად, სწავლის პროცესის დასრულებამდე იზრუნოს და შეუწყოს ხელი მათ დასაქმებას.

ტექნოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, დამსაქმებლებისთვის უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციის და მათი ჩართულობის ზრდისთვისთვის

ყველაზე ეფექტურია გამოყენებული იქნას ტელევიზია, რადიო, ასევე სოციალური მედია საშუალებები, ინტერნეტ რეკლამა და ფორუმები, რადგანაც დამსაქმებლები სულ უფრო და უფრო აქტიურად იყენებენ მოცემულ საკომუნიკაციო არხებს.

ამგვარად, კვლევის პროცესში, დამსაქმებლებს არ გამოუთქვამთ შენიშვნა სდასუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების და ზოგადად სწავლების ხარისხთან დაკავშირებით. პირიქით, საგანმანათლებლო პროგრამების როგორც თეორიულმა, ასევე პრაქტიკულმა კომპონენტებმა რესპონდენტების მხრიდან მაღალი შეფასება მიიღო. საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, დამსაქმებლები პრაქტიკის კომპონენტის კიდევ მეტად გააქტიურებისთვის და სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებაზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით დროის გამოწვევების შესაბამისად, რეკომენდაციის უწყვეტ კომპანიების, ლაბორატორიების, ტექნიკური ბაზების რიცხვის და პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობის კიდევ მეტად ზრდას, ასევე თანამედროვე სასწავლო მასალების გამოყენების ტენდენციის შემდგომ შენარჩუნებას.

5.2. კურსდამთავრებულთა კვლევის თვისებრივი ანალიზის შედეგები

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც დამსაქმებლები, ისევე კურსდამთავრებულები კმაყოფილებას გამოთქვამენ სდასუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელიც მათივე თქმით, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების აღჭურვას სათანადო ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და კონკრეტულ სფეროში მოთხოვნილი დარგობრივი კომპეტენციებით. რაც განაპირობებს კიდევ შრომისა და დასაქმების ბაზარზე სდასუ-ს კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ იმ უნივერსიტეტებს შორის, რომელთა კურსდამთავრებულებსაც დამქირავებლები ანიჭებენ მეტ უპირატესობას, ფიგურირებს სდასუ. რესპონდენტთა ამგვარი დამოკიდებულება აშკარად მეტყველებს უნივერსიტეტის ცნობადობასა და მაღალ იმიჯზე.

რესპონდენტების მიერ დასახელებულ საქართველოს დასაქმების ბაზარზე მაღალი პრესტიჟულობით გამორჩეულ უნივერსიტეტებს, კერძოდ: თსუ, ჯიპა, სდასუ, ილიაუნი, CSB და თავისუფალი უნივერსიტეტს შორის დასახელდა სდასუ. აღსანიშნავია, რომ სდასუ მოცემულ ჩამონათვალში იკავებს მოწინავე პოზიციებს და ზოგიერთი რესპონდენტის მიერ სახელდება როგორც საუკეთესო და ყველაზე სასურველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

რესპონდენტების განცხადებით ის ძირითად ფაქტორები, თუ რატომ არის ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე არის მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც იძენენ

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. კურსდამთავრებულების აზრით, სდასუ-ს პრესტიჟულობას განაპირობებს უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე მუდმივი კონსულტირება, სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნის უზრუნველყოფა კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების ფარგლებში.

რესპონდენტების განცხადებით, სხვა მოწინავე უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების მსგავსად, სდასუ-ს კურსდამთავრებულები არიან წარმატებულები და ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას, რადგანაც სწავლის პროცესში სტუდენტები იძენენ ყველა იმ კომპეტენციას, რაც აუცილებელია მომავალი კარიერული ზრდისა და წარმატებისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს, დამსაქმებლების აზრით, სდასუ-ს როგორც საგანმანათლებლო ბაზარზე მაღალხარისხიანი განათლების შემთავაზებელი, სტუდენტის კარიერულ ზრდაზე და დასაქმებაზე ორიენტირებული დაწესებულების პოზიციას.

კვლევის შედეგად, განისაზღვრა ის მიმართულებები, რომელთაც რესპონდენტები მიიჩნევენ საკმაოდ მოთხოვნად სპეციალობებად დასაქმების ბაზარზე, კერძოდ: სამართალმცოდნეობა, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები და საბანკო საქმე, ტურიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები, სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, IT და პროგრამირება, სახელმწიფო მმართველობა, მენეჯმენტი და ა.შ.

იმისთვის, რომ სდასუ-ში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები აღმოჩნდეს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე რეკომენდებულია მოხდეს სპეციალობების მიხედვით პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროებების განსაზღვრა/დანერგვა ან უფრო სიღრმისეული შესწავლა და ა.შ.

კურსდამთავრებულების მიერ არ მომხდარა სდასუ-ში შეძენილი რომელმე უსარგებლო კომპეტენციის გამოყოფა, რომელთა გამოყენებაც ვერ მოხერხდა სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას. ყველა ის კომპეტენცია, რომელიც კურსდამთავრებულმა მიიღეს სწავლის პროცესში შეფასდა დადებითად და მნიშვნელოვნად.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკულ კომპონენტს, მოწვეული იქნას უფრო მეტი პრაქტიკოსი ლექტორი, შესაძლებელი გახდეს გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა, გაგრძელდეს სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობა, განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი ოპტიმიზაცია დროის გამოწვევების შესაბამისად. შენარჩუნდეს და განვითარდეს კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვა, შემდგომში მათი იდეების პოპულარიზაციის და უნივერსიტეტის იმიჯის

ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება; კურსდამთავრებულთა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მათთვის სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება.

დასკვნა

დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა თვისებრივი კვლევიდან არ იკვეთება რაიმე შეუსაბამობა. ორივე კატეგორიის რესპონდენტების მოსაზრებები ძირითადად იდენტურია კვლევის თემატიკასთან მიმართებაში.

დამქირავებელთა უმეტესობა კმაყოფილია მათთან დასაქმებული სდასუ-ს კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით.

დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნით და სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამების როგორც თეორიულმა, ასევე პრაქტიკულმა კომპონენტებმა რესპონდენტების მხრიდან მაღალი შეფასება მიიღო. საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, დამსაქმებლები პრაქტიკის კომპონენტის კიდევ მეტად გააქტიურებისთვის და სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებაზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით დროის გამოწვევების შესაბამისად, რეკომენდაციის უწევენ კომპანიების, ლაბორატორიების, ტექნიკური ბაზების რიცხვის და პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობის კიდევ მეტად ზრდას, ასევე თანამედროვე სასწავლო მასალების გამოყენების ტენდენციის შემდგომ შენარჩუნებას.

კურსდამთავრებულების აზრით, სდასუ-ს პრესტიჟულობას განაპირობებს უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე მუდმივი კონსულტირება, სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნის უზრუნველყოფა კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების ფარგლებში.

იმისთვის, რომ სდასუ-ში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები აღმოჩნდეს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე რეკომენდებულია მოხდეს სპეციალობების მიხედვით პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროებების განსაზღვრა/დანერგვა ან უფრო სიღრმისეული შესწავლა და ა.შ.